# ახალი ხარაგაული

№440 (15) 8 ნოემბერი, 2021 წ.


## კობა ლურსმანაშვილი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი ახალი უფლებამოსილებით საქმიანობის განხორციელებას შეუდგა.

N48 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გია ცისკაძემ ხარაგაულის მერს შესაბამისი დოკუმენტი გადასცა და წარმატებები უსურვა.

,,ბატონ კობას გადავეცი რწმუნება, რომ მას შეუძლია შემაჯამებელი ოქმიდან მე - 11 დღეს ოფიციალურად შეუდგეს საქმიანობას.“ - დასძინა ბ-ნმა გიამ.

თავის მხრივ, კობა ლურსმანაშვილმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ხარაგაულელ ამომრჩეველს და დასძინა, რომ შემდგომი ოთხი წელი ხარაგაულისათვის ბევრი კარგი სიახლის მომტანი იქნება.

,,გადმომეცა შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც მე, როგორც არჩეულმა მერმა, მივიღე დადასტურება, რომ ახალი სტატუსით ოფიციალურად შევუდგე მერის უფლებამოსილების განხორციელებას. სულ მალე შეიკრიბება ახალი საკრებულოც, სადაც ,,ქართულ ოცნებას“ 24 მანდატი ექნება. ჩვენმა მაჟორიტარმა კანდიდატებმა 11 - ვე საარჩევნო ოლქში გაიმარჯვეს, ხოლო პარტიული სიით 13 მანდატი მივიღეთ.

ჩვენ ვართ ერთიანი გუნდი და ვაპირებთ, რომ ეფექტურად და კოორდინირებულად ვიმუშაოთ.

ძალიან მალე ხარაგაულში ჩვენი მოქალაქეები იხილავენ განახლებულ დაბის ცენტრს, ასევე, სოფლებში ჩვენ მიერ დაპირებული ყველა პროექტი განხორციელდება.“-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 12 189 ამომრჩეველი მონაწილეობდა, აქედან 7010 ხმა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა კობა ლურსმანაშვილმა მიიღო, 478 ბიულეტენი გაბათილდა, ხოლო დარჩენილი 5179 ხმა, 4 ოპოზიციურ კანდიდატზე გადანაწილდა.

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი „მეგობრობის მერიდიანების“ პრეზენტაციას ესწრო

ქართველი ებრაელის, აკადემიკოს პაატა იოსებაშვილის, ინიციატივით, საქართველოში ორგანიზაცია ,,მეგობრობის მერიდიანები“ დაფუძნდა.

თანადამფუძნებელთა შორის არიან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი და რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორი, საპატიო ხარაგაულელი იზა ვეფხვაძე.

2 ნოემბერს ქალაქ თბილისში, მწერალთა სახლში, ამავე ორგანიზაციის მიერ გამოცემული ჟურნალ ,,მეგობრობის მერიდიანების“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციაზე საპატიო სტუმრებთან ერთად, მიწვეული იყვნენ: მუნიციპალიტეტის მერი ბ-ნ კობა ლურსმანაშვილი, მერის თანაშემწე ჟანა ნემსაძე და ხარაგაულის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე პაატა გოგოლაძე.

,,მეგობრობის მერიდიანების“ საქართველოში არსებული ფილიალის მიზანია ქართველ და ებრაელ ხალხთა 26- საუკუნოვანი მეგობრობის შენარჩუნება და გაგრძელება. ასევე ამ მეგობრობის განვითარებისა და ისტორიული მნიშვნელობის არსის მსოფლიოს საზოგადოებამდე მიტანა.

,,პირადად მე უდიდესი პატივი მხვდა წილად და მიხარია, რომ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი ვარ. მინდა, უდიდესი პატივისცემა გამოვხატო ქართველი ებრაელის, ჰუმანურობითა და პატრიოტიზმით გამორჩეულ ბ-ნ პაატა იოსებაშვილის მიმართ და 26-საუკუნოვანი მეგობრობის მქონე ქართველ და ებრაელ ხალხს მივულოცო ორგანიზაცია ,,მეგობრობის მერიდიანების“ დაფუძნება და ჟურნალის გამოცემა. საამაყოა, რომ ბ-ნ პაატა უანგაროდ და სიყვარულით ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს ორი ერი კიდევ უფრო დააახლოვოს და დაამეგობროს. ამ საუკუნეების განმავლობაში ერთობლივად ვქმნით საერთო კულტურულ ფასეულობებს და მჯერა, რომ მომავალი თაობა ამ მონაპოვარს დიდი რუდუნებით გაუფრთხილდება.

წარმატებებს ვუსურვებ ,,მეგობრობის მერიდიანებს“ და მისი გაძლიერების ყველა მოსურვეს, ყველა ხელშემწყობს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბატონი პაატას ძალისხმევითა და ენთუზიაზმით, აღნიშნული ორგანიზაცია სათანადო სიტყვას იტყვის ამ ორი ერის სამომავლო ურთიერთობებზე.“-აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

მოგახსენებთ, რომ ახლო მომავალში, ჟურნალ ,,მეგობრობის მერიდიანების" პრეზენტაცია, ისრაელში გაიმართება.

## ხარაგაულის მერია მოქალაქეებს ახალ ელექტრონულ პლატფორმას სთავაზობს

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო (LDA Georgia), ხარაგაულის მერიასთან ერთად, ახალი ონლაინ პლატფორმის შექმნას იწყებს. პლატფორმის ბმული -„მოქალაქეთა უკუკავშირი“ (Citizens feedback) ხარაგაულის ვებგვერდზე -kharagaulinews.gov.ge -განთავსდება. აქვე გეტყვით, რომ პროექტის მიზანია მოქალაქეების მხრიდან მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სერვისებისა და პროგრამების შეფასება.

როგორც ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი აღნიშნავს, მერია კომუნიკაციის აღნიშნულ ფორმას მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობის გასაზომად გამოიყენებს.

,,უახლოეს მომავალში, ნებისმიერ პირს ელექტრონულად შეეძლება მუნიციპალური პროგრამების შეფასება. ამჟამად ჩვენ ეს უკუკავშირი არ გვაქვს და ზუსტად არ ვიცით, როგორია ჩვენი მომსახურების ხარისხი, რა საჭიროებები დგას ბენეფიციარების წინაშე და ა.შ. ახალი ელექტრონული პლატფორმა შეიძლება გახდეს საუკეთესო პრაქტიკა, რომელსაც ხარაგაულის მერია წარმატებით გაართმევს თავს.“ -დასძინა მერმა.

,,ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს“ დირექტორი ნინო ხუხუა ამბობს, რომ ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი ნამდვილად გამოირჩევა მხარდაჭერით იმ პროექტების მიმართ, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობასა და ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას ისახავს მიზნად. ,,ახალი პლატფორმა შესაძლებლობას აძლევს ბენეფიციარს, გამოხატოს მადლიერება, ან შენიშვნა იმ განხორციელებულ პროგრამაზე, რომელიც მუნიციპალიტეტმა მას შესთავაზა.“-დასძინა ქ-ნმა ნინომ.

ინფორმაციისათვის, ახალი ონლაინ პლატფორმა სატესტო რეჟიმში დეკემბრის თვეში ამუშავდება.

## ხარაგაულის მერიაში ინვენტარიზაციის პროცესი მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისთვის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია (სათეფა) სწავლებას ახორციელებს.

სწავლების პროცესი ახალი ელექტრონული პროგრამის დანერგვას ითვალისწინებს, რომლის საშუალებითაც მერია ქონების მართვასა და ინვენტარიზაციის პროცესს ეფექტურად განახორციელებს.

როგორც ასოციაციის თავმჯდომარე დავით ხოსრუაშვილი აცხადებს, ორგანიზაცია მუნიციპალიტეტებს საბიუჯეტო და ქონების მართვის მიმართულებით არსებული გამოწვევების

დაძლევაში ეხმარება. მისივე ინფორმაციით, შეიქმნა ერთიანი ბაზა, რომელშიც ერთდროულად შეძლებენ მუშაობას ქონების მართვისა და საფინანსო სამსახურის თანამშრომლები.

მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი განმარტავს, რომ მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის პროცესი წლების განმავლობაში არ ჩატარებულა და კარგია, რომ ეს პრობლემა მოგვარდება. მისივე ინფორმაციით, ამ ეტაპზე, ოთხასი დაურეგისტრირებელი ობიექტი აღინუსხა და ერთიან ბაზაში მოექცა.

**გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ**

# ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლად გივი დოლიკაშვილი დაინიშნა

ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლად გივი დოლიკაშვილი დაინიშნა. იგი ამ დრომდე ამავე თემში მერის წარმომადგენლის ასისტენტად მუშაობდა. გივიმ საშუალო სკოლა ხიდარში დაასრულა, შემდეგ კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სატყეო საქმის სპეციალობით სწავლობდა. ამჟამად კი ამავე უნივერსიტეტში აგრონომიის ფაკულტეტის სტუდენტია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა კადრებს გზა ფართოდ ეხსნებათ, ამის დასტურია ისიც, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მერის, კობა ლურმანაშვილის, გადაწყვეტილებით, საჯარო სამსახურში ოცამდე ახალგაზრდა შეუდგა საქმიანობას.

რაც შეეხება გივის, საკმაოდ აქტიური, მიზანსწრაფული და მოტივირებული ახალგაზრდაა. რაც მთავარია, ძალიან უყვარს თავისი სოფელი და კარგად იცნობს, რა საჭიროებები და მოთხოვნები აქვს მოსახლეობას. ამბობს, რომ კომპეტენციის ფარგლებში მზადაა, დაეხმაროს თითოეულ მოქალაქეს. აქვს ამბიცია, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ხიდარი ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული სოფელი იყოს. უფრო ვრცლად სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, გივი პირადად გვესაუბრება:

„პირველ რიგში, მადლობა მინდა, გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს ბატონ კობა ლურსმანაშვილს გამოცხადებული ნდობისა და მხარდაჭერისათვის. მზად ვარ, თავდაუზოგავად ვიშრომო და ბევრი კარგი საქმე გავაკეთო მოსახლეობისათვის. ხარაგაულელებს ნამდვილად პროფესიონალი და გულისხმიერი ხელისუფლება ჰყავს, რომელთაგანაც ბევრს ვსწავლობ. მჯერა, რომ მომდევნო წლები ხიდრისათვის ახალი შესაძლებლობების გამოვლენის წლები იქნება და მიხარია, რომ ამ კარგი საქმეების თანამონაწილე ვიქნები.

**-ბ-ნ გივი, უკვე რამდენიმე თვეა, მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობას იკავებთ. რა არის თქვენს საქმიანობაში ძირითადი პრიორიტეტი?**

-ძირითადი პრიორიტეტი მოსახლეობა და მათი ინტერესების დაცვაა. ნებისმიერ ჩემს გადაწყვეტილებას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები და ყოველდღიურ რეჟიმში ვცდილობ, გავეცნო ადგილობრივების პრობლემებს. ჩემი სურვილია, რაც შეიძლება მეტი კმაყოფილი მოქალაქე იყოს და ხიდარი კიდევ უფრო მეტად განვითარდეს. ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე საქმიანობა სწორედ ხიდრის სიყვარულმა გადამაწყვეტინა. მსურს, მცირედი წვლილი შევიტანო იმ სოფლის განვითარებაში, რომელიც ჩემთვის მართლაც ძალიან ძვირფასია.

**-როგორც ვიცით, ბოლო პერიოდში ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში საკმაოდ მასშტაბური პროექტები განხორციელდა. უფრო ვრცლად გვესაუბრეთ ამის შესახებ.**

-მიხარია, რომ დღეს გვაქვს სრულიად განსხვავებული სოფელი, ვიდრე ცხრა წლის წინ იყო. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ,,ქართული ოცნება“ მოვიდა, ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში მართლაც მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. მოასფალტდა სოფელში შესასვლელი 5-კილომეტრიანი გზა, რომელიც იყო ურთუღლეს მდგომარეობაში. ალბათ ვერც ვიფიქრებდით, თუ ოდესმე აქ ასფალტი დაიგებოდა, მაგრამ დღეს ყველა ვხედავთ, თუ როგორი კეთილმოწყობილი გზით სარგებლობს მოსახლეობა. აიგო ასევე დაწყებითი სკოლის ახალი შენობა, რომელიც აღიჭურვა ახალი ინვენტარით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი, სარიტუალო სახლი, რეაბილიტირდა საექიმო ამბულატორია. ბეტონის საფარი დაიგო რამდენიმე უბანში, მათ შორის, აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ზაზა გლუნჩაძისა და ჯორტების უბნებში. სისტემატურად ხდება რიგ უბნებში გზების შეკეთება. სამომავლოდ ამ მონაკვეთებზეც ბეტონის საფარი დაიგება. მოსახლეობა ითხოვს გაზიფიცირებას. ამ საკითხზე ვიმუშავებთ აქტიურად. რადგან გაზიფიცირებულია კიცხის თემი, გაცილებით ადვილია ხიდარში მაგისტრალის მშენებლობა. ჩემი მხრიდან ამ საკითხს ყურადღება არ დააკლდება, სოფლის ყველა მოთხოვნას აქტიურად დავაყენებ შესაბამის სამსახურებთან და პასუხისმგებელ პირებთან.

აქვე დავამატებ, რომ ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხიდარში ყოველწლიურად ეფექტურად ხორციელდება მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლებსაც მოსახლეობა თავად ირჩევს.

**-რა არის ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ხიდრის მოსახლეობას აწუხებს?**

-ადგილობრივები ძირითადად მოგვმართავენ სოციალურ საკითხებზე. ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში, ამ მიმართულებით მერიაში შესული განცხადებები სრულად დაკმაყოფილდა და მოქალაქეებს გაეწიათ შესაბამისი დახმარება. მინდა ვთქვა, რომ ხარაგაულის მერიას აქვს ძალიან კარგი სოციალური პროგრამები, რომლითაც მოსახლეობა სისტემატურად სარგებლობს, მათ შორის - ხიდრიდან. ერთჯერად ფინანსურ დახმარებას ვუწევთ ასევე იმ ოჯახებს, რომლებიც არიან უკიდურესად გაჭირვებული. პრობლემებია სოციალური შემწეობის დანიშვნის კუთხით. ვფიქრობ, ქულების დათვლის მექანიზმი შესაცვლელია, თუმცა, სამწუხაროდ, ამ საკითხის მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში არ შედის. საუბარია, რომ ამ მიმართულებით სამომავლოდ ცვლილება განხორციელდეს და შეფასების სისტემაში მერის წარმომადგენლის ან დეპუტატის აზრის გათვალისწინება მოხდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საკმაოდ სოლიდური თანხები იხარჯება, აქაც გვაქვს პრობლემები, თუმცა ყველაფერი დაძლევადია.

**-გვესაუბრეთ სამომავლო გეგმებზე.**

-ჩემი სამომავლო გეგმაა, რაც შეიძლება, მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდეს ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში და მაქსიმალურად მოხდეს სოციალური საკითხების დაძლევა. მაქვს ამბიცია, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხიდარი იყოს ერთ-ერთი მოწინავე სოფელი და განხორციელდეს ისეთი პროექტები, რომლებიც სოფელს გახდის უფრო ცნობადს. კარგი იქნება, თუ ტურიზმის განვითარების კუთხით გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები. ამის რესურსი არსებობს, რადგან სოფელს ესაზღვრება ისეთი ულამაზესი და მნიშვნელოვანი ადგილი, როგორიც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკია. ვფიქრობ, ყოველივე მოსახლეობას საშუალებას მისცემს, აწარმოოს მცირე ბიზნესი. ეს ეხება საოჯახო სასტუმროებს, ნატურალური პროდუქტების რეალიზებას და სხვა.

მჯერა, ერთობლივი ძალებით ყველა პრობლემის დაძლევა მოხერხდება და თითოეული ოჯახის მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება.

ჩემთვის ნამდვილად დიდი პატივია, ვიყო იმ სოფლის წარმომადგენელი, სადაც დავიბადე და გავიზარდე. შევეცდები, გავამართლო გუნდის ნდობა, რომელმაც მხარდაჭერა გამომიცხადა და ღირსეულად ვემსახურო ხიდარსა და ხიდრელებს.

ეკა შავიძე

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ ცხრა თვეში სოციალურ პროგრამებზე 762 947 ლარი დახარჯა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ ცხრა თვეში სოციალურ პროგრამებზე 762 947 ლარი დახარჯა და, საერთო ჯამში, დახმარება 2609 მოქალაქეს გაუწია.

ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე გაიცა 193100 ლარი (დაკმაყოფილდა 1080 განცხადება);

ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამაზე -15400 ლარი (დაკმაყოფილდა 87 განცხადება);

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების მიმართულებით - 314700 ლარი (დაკმაყოფილდა 549 განცხადება);

მრავალშვილიან ოჯახებზე - 8850 ლარი (დაკმაყოფილდა 39 განცხადება);

მარტოხელა მშობლის დახმარებისათვის - 2 000 ლარი (დაკმაყოფილდა - 10 განცხადება);

მარჩენალდაკარგული ოჯახების დახმარებისათვის - 4100 ლარი (დაკმაყოფილდა 19 განცხადება);

უსინათლოთა კავშირის წევრებისათვის,

დევნილებისა და სამამულო ომის ვეტერანების ყოველთვიური დახმარებისთვის დახარჯულია- 27100 ლარი;

დიალიზზე მყოფი პაციენტებისა და ლეიკემიით დაავადებულთათვის - 18900 ლარი (დახმარება გაეწია 15 მოქალაქეს);

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებისთვის- 4500 ლარი (ისარგებლა ხუთმა ბენეფიციარმა);

სოციალურად დაუცველი გარდაცვლილის ოჯახების დახმარებისათვის-6000 ლარი (დაკმაყოფილდა 30 განცხადება);

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებისათვის- 7750 ლარი (დაკმაყოფილდა 33 განცხადება);

სტიქიის შედეგად დაზარალებული, მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეებისა და უსახლკარო პირთა დასახმარებლად -108300 ლარი (დაკმაყოფილდა 111 განცხადება);

უსახლკარო ოჯახის ბინის ქირით უზრუნველსაყოფად - 4300 ლარი (დაკმაყოფილდა 5 ბენეფიციარი);

შშმ პირის მომვლელის ქვეპროგრამით ყოველთვიურად სარგებლობს 40 პირი, რისთვისაც დახარჯულია -11640 ლარი;

სადღესასწაულო დღეებში დახმარებამ შეადგინა - 23200 ლარი;

100 წელს გადაცილებულთა ფინანსური დახმარება შეადგენს 1000 ლარს (თანხა მიიღო 2-მა პიროვნებამ);

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დაკრძალვისათვის დაიხარჯა 1000 ლარი (დაკმაყოფილდა 4 განცხადება);

აქვე გეტყვით, რომ მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურში სულ 23 ქვეპროგრამა მოქმედებს, რისთვისაც 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთ მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული.

მარიამ შარიძაძე

# სხლითში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სხლითში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი დაიწყო. მიმდინარე წელს, აღნიშნულ პროექტზე 271 420 ლარი დაიხარჯება და, საერთო ჯამში, 3321-მეტრიანი მონაკვეთი იქნება მობეტონებული. მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი სამუშაოებს ადგილზე პირადად გაეცნო.

,,აღნიშნული პროექტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ეს არის გზის საკმაოდ რთული მონაკვეთი და აქტიურად ვიმუშავეთ, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო. ასეთი პროექტები 2022 წელსაც მასობრივად გაგრძელდება იმ სოფლებში, სადაც წელს ვერ მოხდა განხორციელება“.

პაატა ლომსაძე, რომელიც სხლითის მკვიდრია, მადლიერებას გამოხატავს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ და ამბობს, რომ სოფლისთვის ეს საუკუნის პროექტია.

,,ბავშვობიდან ვოცნებობდი, რომ კარგი გზით და შეუფერხებლად ამოვსულიყავი სოფელში. მიხარია, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრა. ვფიქრობ, ბევრი დაბრუნდება და დაკავდება ადგილზე. როგორც ვიცი, ანალოგიური პროექტები კეთდება ხარაგაულის სხვა სოფლებშიც, რაც ძალიან მისასალმებელია. მთავარია ინფრასტრუქტურა, წყალი, ელექტროენერგია და დანარჩენზე მოსახლეობამ თავად უნდა იზრუნოს.“

ინფორმაციისათვის, სხლითის გზის რეაბილიტაცია წლის ბოლომდე დასრულდება.

ეკა შავიძე

# ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლის „ორნის“ ტელეპრემიერა გაიმართება

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრს აჭარის საზოგადოებრივი არხის გადამღები ჯგუფი ესტუმრა და დრამატურგ მაკა კუკულავას პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი ,,ორნი“ ჩაწერა. თეატრის რეჟისორის, ირინე ჩხეიძის, თქმით, მისი რეჟისორობით დადგმული სპექტაკლებიდან ტელევიზიამ უკვე მესამე სპექტაკლი ჩაინერა.

– ,,ტელესპექტაკლები“ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელშიც გადასაღებად მხოლოდ საუკეთესო სპექტაკლებს ირჩევენ. ,,ორნის“ გადაღება სამი დღე მიმდინარეობდა, რადგან საკმაოდ რთული პროცესია. ძალიან მეამაყება, რომ ჩემი რეჟისორობით უკვე სამი სპექტაკლი გადაიღო ტელევიზიამ და სამომავლოდ დაგეგმილია - ,,იმერული რეკვიემის“- ჩაწერაც.

პროექტის - ,,ტელესპექტაკლების“ - პროდიუსერი თეატრმცოდნე ნერონ აბულაძეა, რეჟისორი - გია დიასამიძე. ნერონ აბულაძე წლებია, გვიცნობს იმერეთის თეატრალური ფესტივალიდან და სწორედ მან გამოთქვა სურვილი, ჩვენი სპექტაკლი ტელევიზიას ჩაეწერა.“ -აღნიშნავს ჩვენთან საუბარში ირინე ჩხეიძე.

ნერონ აბულაძე, პროექტის ხელმძღვანელი და პროდიუსერი: ,,იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე თითქმის ყოველწლიურად

ვარ ჟიურის წევრი და კარგად ვიცნობ ამ ადამიანების შესაძლებლობებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახალხო თეატრებს შორის, ხარაგაულის თეატრი ერთ-ერთი საუკეთესოა თავისი შემოქმედებითა და ღირებული რეპერტუარით. ჩვენ ძირითადად სახელმწიფო თეატრებზე ვაკეთებთ აქცენტს, თუმცა ხარაგაულისათვის გამონაკლისი დავუშვით. მადლობა ქალბატონ ირინე ჩხეიძეს და დასს, რომლებიც ნამდვილად ასრულებენ იმ ეროვნულ მისიას, რისთვისაც უნდა არსებობდეს თეატრი. ყველა სპექტაკლი, რაც მათ რეპერტუარშია, ორიენტირებულია თვითმყოფადობაზე და ეროვნული ცნობიერების გაღრმავებაზე. ამას მოწმობს უამრავი ჯილდო და გამარჯვებული ნომინაცია, რომლებიც თეატრს აქვს მიღებული წლების განმავლობაში.“ -აღნიშნა ნერონ აბულაძემ.

,,ორნი“ აჭარის საზოგადოებრივ არხზე წლის განმავლობაში 4-ჯერ იქნება ნაჩვენები, პირველი ჩვენება კი ერთ თვეში მოხდება.

მარიამ შარიძაძე

# ღვთისა და მოყვასის სიყვარულით...

კარგა ხანია, რაც პატარა ხარაგაულში, ,,სამგლიის სერზე", რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის მოპირდაპირე მხარეს არსებული ტერიტორია ღვთიური სიყვარულით გაჯერებული საქმის ჭეშმარიტ ასპარეზად იქცა და, კურთხევა-დალოცვის შემდეგ, შესატყვისი დატვირთვა მიიღო...

დიახ, ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ მიწის ეს ნაკვეთი საკუთარი შრომითა და ოფლით მოპოვებული ფინანსებით შეიძინა ერუდიციით, შრომისმოყვარეობით, სიკეთით, ქველმოქმედებითა და, უპირველესად, ღვთისა და მოყვასის სიყვარულით გულსავსე ნაღდმა ქართველმა, შესანიშნავმა სპორტსმენმა, პატარა ხარაგაულის მკვიდრმა მამუკა დავითის ძე არევაძემ. შეიძინა, რათა ღვთის სახლი აეგო, რომ მრევლს უფრო მეტად მისცემოდა საშუალება ქრისტიანულ რწმენაში განმტკიცებისა, საეკლესიო რიტუალების აღსრულებაში უშუალო ჩართვისა და, შინაგან ძალთა მობილიზებით, უფლის გზებით სვლისა...

ფეხით თუ სატრანსპორტო საშუალებით მიმავალი, არაერთხელ შეჭერებულვარ ამ დიდებულ ადგილას და პირჯვრის გადასახვით დამილოცავს ამ უდიდესი კეთილი საქმის შემოქმედის, მამუკა არევაძის, ღვთიური შთაგონება და სიამაყე მავსებდა, როცა ვხედავდი, თუ როგორ მიიწევდა ცის სივრცისაკენ მტკიცედ ჩადუღაბებულ საძირკველზე დაფუძნებული კედლები, რათა, როგორც დიდი რომანისტი კონსტანტინე გამსახურდია ,,დიდოსტატის მარჯვენაში" წერს: ,,ცის სივრცეს დაუფლებოდა, შემდეგ კი ცისა და მიწის სამკაულად ქცეულიყო." რასაკვირველია, ჯერ ამ შედეგამდე დროა, მაგრამ აშკარად იკვეთება ღვთისმშობლის მშობლების - წმინდა იოაკიმესა და წმინდა ანას - სახელობის ტაძრის სამომავლო კონტურები...

სრული თავმდაბლობით მინდა, განვუცხადო მკითხველს, რომ ამჯერად ჩემს კალამს არა აქვს პრეტენზია, მიმოიხილოს ტაძრის უპირველესი მესაძირკვლის - მამუკა არევაძის- მიერ გადადგმული ნაბიჯები, გონივრული გათვლები, ტაქტიკური სვლები ჩანაფიქრის აღსასრულებლად. ამ საკითხებს, ჩემო მკითხველო, იმ ბედნიერი დღისათვის შემოვინახავ, როცა მოხდება ტაძრის კურთხევა და მისკენ გზა გაეხსნება ნებისმიერ მლოცველს. მანამდე კი ერთხელ კიდევ შეგახსენებთ დიდებულ სიტყვებს:

,,კურთხეულია ნაბიჯი ვალმოხდილისა.

შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ვაჟკაცს ისე, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე."

ძვირფასო მკითხველო!

მინდა, განსაკუთრებით გავუსვა ხაზი ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. წლების განმავლობაში ახლო ურთიერთობაში ვიყავი და ამჯერადაც ვარ მამუკას მშობლების - ბატონ დავით არევაძისა და ქალბატონ ლეილა ჭუმბურიძე - არევაძის უმშვენიერეს ოჯახთან, რადგან მეხუთე კლასიდან საშუალო სკოლის კურსის დასრულებამდე ვიყავი მათი უმცროსი ვაჟის, შოთა არევაძის, კლასის დამრიგებელი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ჩემთვის კარგად ცნობილია ის საიმედო წანამძღვრები, რომლებითაც ასაზრდოებდნენ თავიანთ სამ ვაჟკაცს - ხვიჩა, მამუკა და შოთა არევაძეებს - გულისხმიერი მშობლები. ეს საიმედო ბერკეტია შრომა, შრომა და კიდევ შრომა. შვილებმა პატარაობიდანვე გაითავისეს საკუთარი შრომით მოპოვებული სიხარულის სიტკბო და ის ზნემაღალი ძალა, რითაც ,,ძმა ძმითაა ძლიერი". შეუდარებელია არევაძეთა ვაჟკაცების ძმობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება, დამოკიდებულება მშობლებთან, მეზობლებთან, ახლობლებთან, შრომით კოლექტივთან, სრულიად საზოგადოებასთან. ძმები მუდამ ერთად, ერთიანი ძალისხმევით იბრძვიან სიკეთისათვის, ერთიანი ძალით ადვილად უმკლავდებიან ყოველ პრობლემას, რასაც ხშირად გვთავაზობს წუთისოფელი...

ამიტომაც, ბუნებრივია, არ გამკვირვებია მათი დედის, ქალბატონ ლეილას, შენიშვნა, რომ თავდაპირველად, მართალია, მამუკას პიროვნებაში გამოიკვეთა ტაძრის აშენების იდეა, მაგრამ ღვთისმშობლის მშობლების სახელზე მშენებარე ტაძარს, საძირკვლის ჩადუღაბებიდანვე ბურჯებად უდგას სამი ძმა - მამუკა, ხვიჩა და შოთა არევაძეები - მშობლებთან და კეთილმოსურნეებთან ერთად.

აქვე მინდა, ერთ ფაქტსაც გავუსვა ხაზი - ვინ იცის, რამდენმა კეთილმოსურნემ შესთავაზა ძმებ არევაძეებს მშენებლობის პროცესში ფინანსური მხარდაჭერა, მაგრამ ისინი მუდამ კეთილი უარითა და მადლიერების გრძნობით ისტუმრებენ ფინანსური დახმარების ყველა მსურველს. თუმცა არის მეორე გზაც დიდ საქმესთან თანაზიარობისა. ესაა ფიზიკური შრომით თანადგომა, რაც ესოდენ ძვირფასი და ფასეულია ძმები არევაძეებისათვის, მათი ოჯახებისათვის. ასეთი თანადგომის ბევრი დღე ახსოვს ტაძრის მშენებლობის ერთწლიან პერიოდს. (შეგახსენებთ, რომ ტაძრის საძირკველი 2020 წლის 14 ნოემბერს გაისკვნა). ასეთ გამორჩეულ დღეთაგან ერთ-ერთია 2021 წლის 31 ოქტომბერი...

თუმც უმჯობესია, ამის შესახებ უშუალოდ კომპანია ,,მეგობრობის" წარმოების დირექტორს, ბატონ გიორგი ტოროშელიძეს, მოვუსმინოთ: ,, - მამუკას, ხვიჩასა და შოთიკოს მეგობრები - ჩვენი საერთო მეგობრები -შემოგვეხმიანენ, რომ შრომითი მარათონით ვწვეოდით ,,სამგლიის სერს" და მოსაპირკეთებელი სამუშაოებისათვის გაგვემზადებინა წმინდა იოაკიმესა და წმინდა ანას სახელობის ტაძრის ეზო-შემოგარენი. 18 მეგობარი გამოვეშურეთ 31 ოქტომბერს, დილის 6 საათზე, თბილისიდან ხარაგაულისაკენ. თუმცა მსურველი გაცილებით მეტი იყო ამჯერადაც. სრული დატვირთვით, მუხლჩაუხრელად ვიშრომეთ და ჩვენი ამდღევანდელი მიზანი აღვასრულეთ - ეზო სრულ მზადყოფნაში მოვაქციეთ მოსაპირკეთებელი სამუშაოებისათვის...

შემდეგ კი უფლის მადლით გაძლიერება ვუსურვეთ სრულიად საქართველოს და ქართველობას, ხარაგაულელებს, არევაძეების სტუმართმოყვარე და შრომისმოყვარე ოჯახს და გზა დავულოცეთ ჩვენს საყვარელ მეგობარს, ტაძრის მესაძირკვლე მამუკა არევაძეს, რომელიც მეორე დილით მიფრინავდა სტამბოლში საშენ მასალათა წარმოების მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად."

მარათონის მონაწილეებმა დიდი სიხარული განიცადეს, როცა მათი შრომითი პათოსის უშუალო მხილველი გახდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბატონი ვარლამ ჭიპაშვილი. ,,-საშვილიშვილო ღირებულებისაა მამუკა არევაძის იდეით აგებული ტაძარი - აღნიშნა მერის პირველმა მოადგილემ-ადგილობრივი ხელისუფლების სახელით, მინდა, მადლიერება და კმაყოფილება გამოვხატო არევაძეების ღირსეული ოჯახის მიმართ, რომლის წევრებიც მუდამ მზად არიან, გვერდით დაუდგნენ ხარაგაულელთა იმ სასიკეთო საქმეებს, რაც უკეთესი ხვალინდელი დღის საწინდარია.

ღმერთმა დალოცოს თქვენი გამრჯე მარჯვენა, დღევანდელი შრომითი მარათონის მონაწილეებო!"- მიმართა მშრომელ ვაჟკაცებს ვარლამ ჭიპაშვილმა.

***

მეორე დღეს, პირველ ნოემბერს, წერილის ავტორი კვლავ ეწვია ტაძარს და აღფრთოვანებული დარჩა მეგობრული შრომითი მარათონის შედეგებით...

უახლოეს დროში ტაძრის კურთხევაზე შეხვედრამდე, ძვირფასო მკითხველო!

მერი გიორგიძე

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების გეგმა 102,6%-ით შესრულდა

საკრებულოს სხდომაზე მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა დეპუტატებს ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარუდგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 018,9 ათასი ლარით, დღეის მდგომარეობით კი შეადგენს 17 911,8 ათას ლარს. ფაქტობრივად, მუნიციპალიტეტმა განვლილ ცხრა თვეში მიიღო 12 863,9 ათასი ლარის შემოსულობები, რაც დაგეგმილის 88,4 %-ს შეადგენს.

რაც შეეხება გადასახადებს, დაგეგმილი იყო 9 090,1 ათასი ლარი, შემდეგ კი, გაზრდილი შემოსულობების ხარჯზე, გეგმა გაიზარდა 12 705,4 ათასი ლარით, რომელიც დაფინანსებულია 77,5 %-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები დაგეგმილი 477,0 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 454,7 ათასი ლარით;

მერიის ხარჯები დაგეგმილი 1 401,9 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1 261,7 ათასი ლარით;

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან, 2021 წლის თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, მერის ბრძანებით გამოყოფილია 34,9 ათასი ლარი. მათ შორის:

8,3 ათასი ლარი მიმართულია სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარებაზე;

3,6 ათასი ლარი - ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე;

23,0 ათასი ლარი - სტიქიის შედეგად დაზარალებული ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარებაზე;

ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი 11 127,4 ათასი ლარიდან გაცემულია 7 636,8 ათასი ლარი, რაც გასული წლის ცხრა თვის მაჩვენებელს 2 511,3 ათასი ლარით აღემატება;

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაგეგმილი 9 471,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 6 425,3 ათასი ლარი, რაც ასევე გასული წლის ცხრა თვის მაჩვენებელთან შედარებით 2 103,6 ათასი ლარით მეტია.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად აღებულია 422,1 ათასი ლარის ვალდებულება, გადარიცხულია 371,9 ათასი ლარი;

მაღალმთიანი დასახლებების ფონდიდან დაფინანსებულ პროექტებზე აღებულია 650,0 ათასი ლარის ვალდებულება, გადარიცხულია 617,5 ათასი ლარი;

ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 697,1 ათასი ლარიდან გადარიცხულია 349,1 ათასი ლარი;

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად დაგეგმილი 15,3 ათასი ლარიდან, გადარიცხულია 6,9 ათასი ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა ხარაგაული-კიცხი, ხარაგაული- ფარცხნალი, ხარაგაული -ბაზალეთი- ქროლი, ხარაგაული-ნადაბური -ხევი და უბისა-ღორეშა-ხარაგაულის მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსები.

გარე განათების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 197,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 171,4 ათასი ლარი;

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი იყო 163,0 ათასი ლარი, ამ ეტაპზე აღებულია 144,9 ათასი ლარის ვალდებულება.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 2021 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 1 183,6 ათასი ლარით. აქედან მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტს გამოეყო 890, 0 ათასი ლარი. ცხრა თვეში დაგეგმილი 1 107,7 ათასი ლარიდან აღებულია 1 037,7 ათასი ლარის ვალდებულება.

დასუფთავება და გარემოს დაცვაზე დაგეგმილი 890,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 836,4 ათასი ლარი;

განათლებაზე გათვალისწინებული 1 921,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 778,1 ათასი ლარი;

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე დაგეგმილი 1 178,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 097,4 ათასი ლარი;

სკოლების რეაბილიტაციაზე დახარჯულია 135,8 ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტზე დაგეგმილი 1 008,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 934,8 ათასი ლარი;

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე გადარიცხულია 15,0 ათასი ლარი;

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე- 8,4 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 1 061,7 ათასი ლარიდან დაიხარჯა 959,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 90,4 % - ით. ეს თანხა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 160,4 ათასი ლარით მეტია;

საქონელი და მომსახურების ხარჯებიდან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე დახარჯულია 217,5 ათასი ლარი;

მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე-8,8 ათასი ლარი;

საოფისე ხარჯებზე-93,8 ათასი ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე-4,0 ათასი ლარი;

საერთო ჯამში, მიმდინარე წლის ცხრა თვის მდგომარეობით, ხარაგაულის ბიუჯეტი 17 911,8 ლარით განისაზღვრა.

ეკა შავიძე

# ლელვანში საუბნო გზის რეაბილიტაციაზე 250 ათასი ლარი დაიხარჯება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელვანში, ქვიანთის უბანში, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც ჩვენთან საუბარში მერის მოადგილე დავით დევდარიანი აღნიშნავს, გზა საკმაოდ რთული რელიეფის არის და სპეციალური ტექნიკის გამოყენება გახდა საჭირო. მისივე თქმით, პროექტზე 250 ათასი ლარი იხარჯება და ერთ კილომეტრამდე გზა მობეტონდება. დარჩენილი გზის 700-მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია 2022 წელს განხორციელდება.

აქვე მოგახსენებთ, რომ აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები დეისის ცენტრალურ გზაზე, რომელიც 2018 -2019 წ.წ. შეჩერდა. ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, უშუალო გადაწყვეტილებით, მერიამ ტენდერი აღნიშნულ პროექტზე თავიდან გამოაცხადა.

დეისის გზის რეაბილიტაცია ,,გაცოცხლებული პროექტებიდან" ერთ-ერთია. 2021 წელს სულ ათი ინფრასტრუქტურული პროექტი განახლდა, მათგან რვა უკვე დასრულდა, ხოლო სოფელ დეისისა და სარგვეშის გზის რეაბილიტაცია განხორციელების ეტაპზეა.

დეისში გზის 1800-მეტრიანი მონაკვეთი მობეტონდება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს. „გგ" ასრულებს.

ეკა შავიძე

## ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐᲗ

ხარაგაულის საბავშვო ბაღების გაერთიანება აღსაზრდელებისთვის არამალფუჭებადი პროდუქტების გაცემას იწყებს. ამის შესახებ ინფორმაცია მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, მოგვანოდა.

როგორც ჩვენთან საუბარში ბ-ნ ვარლამი განმარტავს, 540 აღსაზრდელი ათი დასახელების პროდუქტს მიიღებს.

,,მუნიციპალიტეტში გართულებული ეპიდსიტუაციის გამო, ამ ეტაპზე საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესის განახლება ვერ ხერხდება. სწორედ ამიტომ, ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთან ერთად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მოხდეს საკვები პროდუქტების დარიგება. ამ მიმართულებით, დაახლოებით, 25 000 ლარამდე დაიხარჯება, ერთი პაკეტის ღირებულება 46 ლარია“. -აღნიშნა მერის პირველმა მოადგილემ.

აქვე გეტყვით, რომ პროდუქტების დარიგება 15 ნოემბრამდე მოხდება და მიწოდებას მუნიციპალიტეტის სოფლების საბავშვო ბაღებში თავად გაერთიანება უზრუნველყოფს. გაცემის პროცესში დაცული იქნება კოვიდ-19 -ის პრევენციისთვის დადგენილი რეგულაციები.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

## ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ევროკავშირის წარმომადგენლობისა და გაეროს განვითარების სააგენტოს(UNDP) მხარდაჭერით, ქვეყნის მასშტაბით იმუნიზაციის მარათონები მიმდინარეობს.

ვაქცინაციის მარათონის ფარგლებში, ხარაგაულს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში პაატა იმნაძე და მთავარი ეპიდემიოლოგი, გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხათუნა ზახაშვილი ესტუმრნენ და დაბის მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსი გოჩა გიორგიძე, მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, ჯანდაცვისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

პაატა იმნაძის განცხადებით, ნორმალური ცხოვრების დაბრუნების ერთადერთი გზა ვაქცინაციაა.

,,აუცილებელია, ქვეყანაში ვაქცინაციის ტემპმა მოიმატოს. ეს უნდა გავაკეთოთ ჩვენი და ჩვენი ახლობლების სიცოცხლის გადასარჩენად. აცრილებში გარდაცვალების შანსი 30 -ჯერ ნაკლებია და ნუ ჩავიგდებთ თავს გამოუვალ მდგომარეობაში, მითებსა და ჭორებს ნუ ავყვებით.

საქართველოში ჩატარებულია 2 მილიონი აცრა. აცრის შემდეგ სერიოზული შემთხვევა 180-მდე იყო. მათგან ანაფილაქსიური შოკის 8 შემთხვევა დაფიქსირდა და ეს პროცესი იმართა. როგორც ცნობილია, ვირუსი აცრილებსაც ხვდებათ, რადგან მას 60% 80% დაცვა აქვს, თუმცა აქ მნიშვნელოვანია ერთი რამ, აცრილებს მსუბუქი ფორმებით გადააქვთ ვირუსი. სწორედ ესაა ვაქცინაციის მთავარი მიღწევა, რომ არ დაგჭირდებათ რეანიმაცია, საავადმყოფოში ყოფნა და კოვიდს არ შეეწირება თქვენი სიცოცხლე.“

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსი გოჩა გიორგიძე: ,,იმერეთში ვაქცინაციის ძალიან დაბალი სტატისტიკაა და დღევანდელი ეპიდვითარება ამის გამოძახილია. დაბაში მოსახლეობის მხოლოდ 36% არის ვაქცინირებული, რაც კოვიდის გავრცელებისთვის ხელსაყრელი ფონია. მართლები არ ვიქნებოდით, რომ უშუალო შეხვედრების ფორმატში არ გავსაუბრებოდით მოსახლეობას და არ გაგვეცა პასუხები მათს შეკითხვებზე. იმედს ვიტოვებ, რომ ეს შეხვედრა დადებით შედეგს გამოიღებს.“

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, მადლობა გადაუხადა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, რომლებიც დაუღალავად მუშაობენ და დგანან ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ,,ხარაგაულში ინფიცირებულთა რიცხვმა საკმაოდ მოიმატა. მინდა, მივმართო მოსახლეობას, გაუფრთხილდნენ საკუთარ ჯანმრთელობასა და ჩაერთონ იმუნიზაციის პროცესში. მერია გამოხატავს მზაობას, ამცრელ პუნქტებამდე უზრუნველყოს მოქალაქეთა ტრანსპორტირება. ხარაგაულის საავადმყოფო აცრას ახორციელებს ჩინური წარმოების ვაქცინით ,,სინოფარმი“ და ,,სინოვაკი". ბორითის კლინიკა - ,,სინოვაკით“, ,,ფაიზერით“ აცრა კი შესაძლებელია ზესტაფონში.“- განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲨᲐᲠᲘᲫᲐᲫᲔ

## ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ “ ᲔᲢᲐᲚᲝᲜᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ“ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲔ ᲒᲐᲮᲓᲐ

ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“ ხარაგაულელი მოსწავლეებისათვის დისტანციურ რეჟიმში გაიმართა. კონკურსის შედეგად „ეტალონი მოსწავლის“ ტიტული წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მე-11 კლასის მოსწავლე ქეთევან მანჯავიძემ მოიპოვა. ქეთევანმა 4 წუთსა და 53 წამში 78 ქულა აიღო.

პირველ ათეულში მოხვდნენ:

ნინო კიკნაძე - საღანძილის საჯარო სკოლა - XI კლასი;

გიორგი კოჩიევი - მარელისის საჯარო სკოლა - VIII კლასი;

მარიამ ბერაძე - ბორის საჯარო სკოლა - IX კლასი;

ლიზი შარიქაძე - დაბის N2 საჯარო სკოლა - X კლასი;

ბექა ჭყოიძე - მარელისის საჯარო სკოლა - VIII კლასი;

ვერიკო ცისკაძე - მარელისის საჯარო სკოლა - VIII კლასი;

ნინო არევაძე - მარელისის საჯარო სკოლა - XI კლასი;

გიორგი ჭყოიძე - მარელისის საჯარო სკოლა - IX კლასი;

თამარ მარაქველიძე - უბისის საჯარო სკოლა - VIII კლასი.

ქეთევან მანჯავიძე თავის ემოციებს გვიზიარებს და მადლობას უხდის პედაგოგებს, რომლებმაც მის წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს.

„ეტალონში“ ორი წელია, აქტიურად ვმონაწილეობ. მეორე ტურისათვის განსაკუთრებულად არ მოვმზადებულვარ. სანამ ტესტის წერას დავიწყებდი, საკმაოდ ვნერვიულობდი, მაგრამ მაქსიმალური მობილიზება გავუკეთე საკუთარ შესაძლებლობებს და შევუდექი საქმეს. რთული იყო ონლაინ რეჟიმში მუშაობა, რადგან დამოკიდებული ხარ ბევრ ფაქტორზე: ინტერნეტის სტაბილურობაზე, ელექტროენერგიაზე, ამასთანავე ორიენტირებული უნდა იყო კითხვებზე და დროის ლიმიტის დაცვაზე. ამ ყველაფრის მიუხედავად, დავალებებს თავი საკმაოდ კარგად გავართვი და 4 წუთსა და 53 წამში მოვიპოვე 78 ქულა. როდესაც გავიგე, რომ პირველ ადგილზე გავედი, ენით აღუწერელი გრძნობა დამეუფლა. ,,ეტალონის“ ტიტულის მოპოვებამ სტიმული და თავდაჯერებულობა შემმატა. ვფიქრობ, ეს პროექტი კარგ შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს თავიანთი ცოდნის რეალიზებისთვის. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს რექტორს მეუფე მელქისედეკს (ხაჩიძე), აღმასრულებელ დირექტორს დეკანოზ პავლეს (ცერცვაძე), გიმნაზიის სულიერ მოძღვარს მამა თომას (ლაცაბიძე) და ყველა ჩემს მასწავლებელს, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ, რომ ჩვენ სრულფასოვანი განათლება მოგვცენ.“-აღნიშნა ,,ეტალონის“ გამარჯვებულმა.

**წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი დეკანოზი პავლე (ცერცვაძე) აღნიშნავს, რომ ქეთევან მანჯავიძე ძალზე მოწესრიგებული და თავმდაბალი მოსწავლეა.**

„როდესაც გიმნაზიის მოსწავლე ხარაგაულის „ეტალონი მოსწავლის“ სტატუსით გამოაცხადეს, ეს იყო დიდი სიხარული. ამ შემთხვევაში სიტყვებით შეუძლებელია იმის გადმოცემა, რასაც სკოლის ხელმძღვანელი განიცდის. ქეთევანი არაჩვეულებრივი მოსწავლეა, ათოსანია და ამავე დროს ოქროს მედლის კანდიდატია. მახარებს, რომ მისი სახით გიმნაზიას ,,ეტალონი მოსწავლე“ ჰყავს.“

**მარინე ვეფხვაძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი:**

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსწავლეებს ,,ეტალონი“ ძალიან უყვართ და პროექტში ყოველთვის აქტიურად ერთვებიან. თუმცა პანდემიამ ყველაფერი გაართულა. ამის მიუხედავად, მაქსიმალურად ვცდილობთ, მოსწავლეები პრობლემებსა და დაბრკოლებებს არ შეუშინდნენ და ყველანაირად ხელს ვუწყობთ, ჩაერთონ სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემეცნებით ღონისძიებაში. მახარებს ის ფაქტი, რომ ამ შესანიშნავ პროექტში ჩვენი მოსწავლეები ყოველთვის გამოირჩევიან მიღებული შედეგებით.“

მოგახსენებთ, რომ ინტელექტ-ჩემპიონატში მონაწილე ყველა ხარაგაულელი მოსწავლე „ეტალონისა“ და მუნიციპალიტეტის მერიისაგან სიგელებით დაჯილდოვდა.

რაც შეეხება ფინალურ ტურს, დეკემბრის ბოლოს გაიმართება და სამი საპრიზო ადგილის მფლობელი გამოვლინდება.

,,ეტალონი“ ხარაგაულში მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

## „ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ” ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲨᲕᲘᲓ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ

,,სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში, კონკურსის შედეგად შვიდმა პროექტმა გაიმარჯვა.

ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა 14,3% ხარაგაულის აღმნიშვნელი დეკორატიული აბრების მოწყობის იდეამ მიიღო.

მეორე ადგილზე გავიდა პროექტი ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი სოფლად“, რომლის ფარგლებში სოფელ ვერტყვიჭალაში მინი მოედანი მოეწყობა.

მესამეზე-,,ხარაგაული ჩაიფიქრე“, რომელიც ხარაგაულის სერზე ტურისტული ლოკაციის მოწყობას ითვალისწინებს.

მეოთხეზე-,,ლილეს წყარო“, რომლის ფარგლებში სოფელ კიცხში წყარო მოეწყობა.

გამარჯვებულ პროექტებს შორის მოხვდა ხარაგაულში ფრენბურთის მოედნის მშენებლობა.

ასევე, ხელოვნურსაფარიანი მინი მოედანი მოეწყობა სოფელ ღორეშაში.

გარდა ამისა, ფარცხნალში, დევდარიანებისა და ლეჟავების უბანში, წყლის ჭაბურღილი გაკეთდება.

აქვე გეტყვით, რომ აღნიშნული პროექტები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

## ᲓᲐᲑᲐ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ 24-ᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

დაბა ხარაგაულის უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს. ხელშეკრულების თანახმად, რეაბილიტაცია 2022 წლის პირველ ნახევარში უნდა დასრულდეს. აქვე მოგახსენებთ, რომ პროექტის ღირებულებაა 4 მილიონი ლარი, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ლ და კ“ ასრულებს.

პროექტი ითვალისწინებს წყალმომარაგების ქსელების, მაგისტრალების, სამი ჭაბურღილის, სათავე ნაგებობებისა და სატუმბი სადგურის მშენებლობას. დაგეგმილია კორპუსებში შიდა გაყვანილობის მოწყობა და მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

შეგახსენებთ, რომ დაბა ხარაგაულში არსებული სათავე ნაგებობა მოძველებულია, წვიმებისა და წყალდიდობის დროს ხშირია წყლის ამღვრევის ფაქტები, რის გამოც ოჯახებს წყალი შეზღუდულად მიეწოდება.

პროექტის დასრულების შემდეგ, ხარაგაულის მოსახლეობა წყალს 24-საათიანი გრაფიკით მიიღებს.

**ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ** ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
**ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ: 595-51-98-12**